

მდგრადი მეცხოველეობის განვითარება ხულოს მუნიციპალიტეტში



დოკუმენტი მომზადებულია
საქართველოს ბიზნეს
საკონსულტაციო
ორგანიზაციების ასოციაციის
მიერ

თბილისი 2020

1. კვლევის მიზნები და ამოცანები

აღნიშნული კვლევა მომზადებულია საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაციის მიერ თემაზე: მდგრადი მეცხოველეობის განვითარება ხულოს მუნიციპალიტეტში.

კვლევის მიზანი იყო: 1. ხულოს მეცხოველეობის სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზი, როგორც მეხორცული, ისე მერძეული მიმართულებით; 2. აჭარის სანაშენე მეურნეობების საქმიანობის შესწავლა; 3. ხელოვნური განაყოფიერების პერსპექტივებისა და ჯიშთგანახლების მიმართულებით არსებული ვითარების შეფასება; 4. რეგიონში არსებული ვეტერინარული სერვისების დონის განსაზღვრა. 5. მერძევეობისა და მეხორცული მიმართულებების შედარებითი ეკონომიკური ანალიზი; 6. არსებული ვითარების შეფასება გარემოს დაცვითი და მდგრადი მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით; 7. მდგრადი მეცხოველეობის მოდელი შემუშავება ხულოს მუნიციპალიტეტისთვის. 8. პროექტის ფარგლებში მცირე სახელმძღვანელოს შედგენა მეხორცული მიმართულებაში ჩართული /დაინტერესებული ფერმერებისათვის ფერმის დიზაინის, საშენი მასალისა და გარემოს მოწყობის შესახებ (20-30 სულიანი ფერმისთვის); 9. რეკომენდაციების შემუშავება მათთვის, ვისაც სურს მეხორცული მეცხოველეობის ფერმის მოწყობა.

2.4. მეთოდოლოგია

2.4.1. ძირითადი ინფორმაციის მოპოვება

კვლევისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი:

- 1) სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და ანალიზი;
- 2) პერსონალური ინტერვიუები მცირე და საშუალო ფერმერებთან, რომლებიც დასაქმებულნი არიან მეცხოველეობის დარგში, ვეტერინარებთან, ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებთან, სხვა მიზნობრივ რესპონდენტებთან;
- 3) პერსონალური ინტერვიუები რეგიონში მოქმედი რძის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასაკლავო მენეჯერებთან;
- 4) პერსონალური ინტერვიუები აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მეცხოველეობის დარგის განვითარებაზე.

3. კვლევის შედეგები

3.1. დარგში არსებული მდგომარეობა


3.1.2. სტატისტიკური მონაცემებისა და ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

საქართველოში მეცხოველეობის სექტორში ძირითადად დომინირებენ მცირე ფერმერები, რომლებიც ფლობენ მსხვილფეხა პირუტყვის 99% -ს. საქართველოში მესაქონლეობის სექტორი არ არის ორგანიზებული. ქვეყანაში ძალზე მცირეა თანამდროვე პროგრესული ფერმა (როგორც მერძეული, ისე მეხორცული მიმართულებით), რომლებიც ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებენ პროდუქციას არსებული სტანდარტის შესაბამისად. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის "საქსტატის" მონაცემებით, მეცხოველე ოპერაციების 99.7% -ს აწარმოებენ მხოლოდ 3 ყავს. არსებული ძროხების მხოლოდ 0.3% არის ორგანიზებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. საშუალოდ, ერთი ძროხა წლიურად იწველის დაახლოებით 1500 ლიტრ რძეს. ხულოს მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია და უდრის დაახლოებით 1250 ლიტრს წელიწადში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემებით, 2019 წელს ნედლი რძის წარმოებამ 91.7 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.7 %-ით ნაკლებია. 2019 წლის რძის წარმოების წლიური მაჩვენებელი 546.9 მლნ. ლიტრით განისაზღვრა, რაც 1.5 % ჩამორჩება 2018 წლის შედეგს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2019 წლებში ნედლი რძის წარმოების დინამიკა:


რძის წარმება 2014-2019 წლებში (მლნ. ლიტრი) - ცხრილი 1



წყარო: საქსტატი 2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია რძის მოთხოვნა - მიწოდების დინამიკა საქართველოში:

საქართველოს რძეზე მოთხოვნა-მიწოდება (მილიონი ლიტრი რძის ექვივალენტი) – ცხრილი 2



წყარო: საქსტატი 2019

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საქართველოში რძის და რძის პროდუქტების წარმოება მცირდება, რის გამოც ქვეყანას უწევს პროდუქციის მზარდი დისბალანსის (წარმოება/მოხმარება) შევსება იმპორტის მეშვეობით. ქვემოთ მოცემულია საქართველოში იმპორტირებული რძისა და რძის პროდუქტების მონაცემები წლების მიხედვით:

იმპორტირებული რძე და რძის პროდუქტები (ტონა) - ცხრილი 3

პროდუქტი წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რძე	909	961	810	1,319	1,380	1,891	2,397	2,682	3,491	4,798
არაჟანი	-	-	-	180	218	241	279	340	385	481
რძის ფხვნილი, ცხიმგაცილი	3,228	3,471	3,652	3,771	4,257	4,979	6,227	8,334	9,957	8,292
რძის ფხვნილი, ცხიმით	502	406	389	389	326	257	329	125	414	295
შედეგებული რძე	2,799	1,973	1,969	1,974	1,845	2,054	2,238	2,160	2,187	2,254
იოგურტი	155	381	561	812	1,422	1,812	2,352	2,265	2,965	3,346
კეფირი	1,040	1,106	948	1,065	1,273	1,300	1,162	1,395	1,454	1,884
რძის შრატა	536	530	735	754	1,050	1,010	678	967	824	518
კარაქი	2,041	1,680	1,452	1,852	2,204	2,387	3,264	4,763	4,057	4,694
ყველი	490	782	882	1,079	1,456	1,651	1,907	2,091	2,560	2,740

წყარო: trademap, 2019

რაც შეეხება საქართველოდან რძისა და რძის პროდუქტების ექსპორტს ან რეექსპორტს, მათი მოცულობა ძალზე მცირეა. “საქსტატის” მონაცემებით, 2018 წელს საქართველოდან ექსპორტის და რეექსპორტის სახით სულ გავიდა 42 ტონა ყველი.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა მოდის რძის ფხვნილზე, რომელიც ძირითადად გამოიყენება დიდი საწარმოების მიერ, აღდგენილი რძის, ხაჭოს, არაჟნის, იოგურტების და მათ შორის ყველის წარმოებისთვის. საშუალო და მცირე ზომის ყველის ქარხნების ნაწილი მოიხმარს რძის ფხვნილს ყველის წარმოებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ რძის ფხვნილისგან (აღდგენილი რძისგან) დამზადებული ყველი გამოირჩევა დაბალი გემოვნური თვისებებით, რაც ადვილად შესამჩნევია ადგილობრივი მომხმარებლისთვის.

„საქსტატის“ 2020 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ირიცხება 3,716,900 მოსახლე. იგივე „საქსტატის“ მონაცემებით, თითოეული მოსახლის მიერ ყველის საშუალო წლიური მოხმარება შეადგენს 12,4 კილოგრამს ერთ სულ მოსახლეზე. შესაბამისად, გამოდის, რომ საქართველოში მცხოვრები პირები წელიწადში მოიხმარენ 46,089 ტონა ყველს. ამას თუ დავამატებთ ქვეყანაში შემოსული ტურისტებისა და ვიზიტორების (საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით - 2019 წელს ქვეყანას ჰყავდა 9,357,964 ვიზიტორი) მიერ მოხმარებული ყველის რაოდენობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ყველის წლიური მოხმარება შეადგენს დაახლოებით 50,000 ტონას.

ადგილობრივ ბაზარზე ძირითადად მოიხმარება 3 სახეობის ყველი: იმერული, სულგუნი და „ქართული ყველი“. ამ სამი სახეობის ყველზე მოდის მოხმარების დაახლოებით 85-90%. რაც შეეხება იმპორტირებული ყველის ძირითად სახეობებს ესენია: მაგარი ტიპის ყველები (გაუდა, პარმეზანი, ჩედარი) და რბილი ტიპის ყველები (მოცარელა, ბრინჯა და ფეტა).

რაც შეეხება მეხორცულ მიმართულებას, აქაც ადგილობრივი წარმოება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა მოხმარებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია საქონლის ხორცის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები ბოლო წლების განმავლობაში.

საქონლის ხორცის ადგილობრივი წარმოება და იმპორტი (ათასი ტონა) - ცხრილი 4

მაჩვენებლები	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ადგილობრივი წარმოება	54.3	56.4	49.3	42.6	48.4	59.3	66.7	66.1	66.2	72.6	69.5
იმპორტი	61.9	61.9	71.3	77.5	75.3	78.8	71.9	84.3	84.7	82.7	89.6

წყარო: საქსტატი 2019

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რძისგან განსხვავებით საქონლის ხორცის ადგილობრივი წარმოება მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა. ასევე გაზრდილია ხორცის იმპორტი.

საქონლის ხორცის ექსპორტი (ათასი ტონა)- ცხრილი 5

მაჩვენებლები	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი	0.2	0.7	1.2	0.8	0.7	1.1	0.5	13.0	10.5	16.7	10.4

წყარო: საქსტატი 2019

საქონლის ხორცის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წლების მიხედვით- ცხრილი 6

წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
------	------	------	------	------	------	------	------	------	------	------	------

კვ. წელიწადში	30	31	32	32	33	37	37	37	37	37	40
თვითურუნველყოფის კოეფიციენტი, %	47	48	41	36	39	43	48	48	47	52	47

წყარო: საქსტატი 2019

როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს, ხორცის გაზრდილი იმპორტი გაპირობებულია ორი ფაქტორით, კერძოდ, ქვეყანაში გაიზარდა საქონლის ხორცის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე და ამასთან საგრძნობლად გაიზარდა საქართველოდან ხორცის ექსპორტი სხვა ქვეყნებში. ქართული ექსპორტი ძირითადად მიემართება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, ერაყი, ლიბანი, საუდის არაბეთი, სირია, თურქეთი, ეგვიპტე. წარმოქმნილი სავაჭრო დეფიციტი ადგილობრივ ბაზარზე ივსება იმპორტული პროდუქციით. საქართველოში საქონლის ხორცის იმპორტი ხორციელდება შემდეგი ქვეყნებიდან: არგენტინა, ბრაზილია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, რუსეთი, ესპანეთი, უკრაინა, აშშ და ურუგვაი.

3.1.3. ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა მეცხოველეობის სექტორში

ხულოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წამყვანი რაიონია აჭარაში მეცხოველეობის დარგის განვითარების მხრივ.

მეცხოველეობის ზოგადი სტრუქტურა ხულოს მუნიციპალიტეტში

რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც პატარა ზომისაა (200-250 კგ) და აქვს შედარებით მცირე წველადობა (1100-1200 ლიტრი წელიწადში). აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმერთა დიდ ნაწილს შემოყვანილი ჰყავს (ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან) შედარებით დიდი ზომის ძროხები (400-450 კგ), რომლებიც უფრო პროდუქტიულები არიან და წელიწადში იძლევიან საშუალოდ 1400 ლიტრ რძეს. არსებული პირუტყვის დაბალპროდუქტიულობა, პირველ რიგში, დაკავშირებულია მათ არასათანადო კვებასთან და ასევე დაბალ ჯიშობრივ მონაცემებთან. ასევე სერიოზული პრობლემა იჩენს თავს პირუტყვის სადგომებთან დაკავშირებით. მეცხოველე ფერმერებს საშუალოდ ჰყავთ 3-5 ძროხამდე, თუმცა არიან ფერმერები, რომლებიც ფლობენ 15-20 ძროხას. ფერმერების უმეტესობა მისდევს მერძეულ მიმართულებას და მოგებულ ბულებს ასხლეტისთანავე (როდესაც ხბო აღარ საჭიროებს დედის რძეს) ყიდის. თუმცა არის ფერმერთა მცირე რაოდენობა, რომლებიც იტოვებენ ბულებს შემდგომი სუქებისთვის. ეს ფერმერები მისდევენ ორივე მიმართულებას, თუმცა ისინი აქცენტს აკეთებენ მერძეული მიმართულების განვითარებაზე. რეგიონში ვიზიტისას ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერცერთი ფერმერი, რომელიც მისდევს წმინდა მეხორცულ მეცხოველეობას. ფერმერების უმეტესობა ორიენტირებულნი არიან ზაფხულის რძის წარმოებაზე, ანუ ძროხა იგებს გაზაფხულზე, როდესაც უკვე წამოსულია ბალახი და პირუტყვი აღარ საჭიროებს ზამთრის საკვებს. შესაბამისად რძის წარმოების პიკი მოდის ივნისის თვეზე და გვიანი შემოდგომა, ზამთრის და ადრე გაზაფხულის პერიოდში შეიმჩნევა ნედლი რძის წარმოების მკვეთრი შემცირება, რის გამოც ამ პერიოდში 1 ლიტრი რძის ფასი იზრდება 1,2-1,3 ლარამდე.

ჩამოყალიბებული მრავალწლიანი ტრადიციის შესაბამისად მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში მეცხოველე ფერმერების უმეტესობა ოჯახებთან და პირუტყვთან ერთად მიდის მაღალმთიან საძოვრებზე, სადაც ისინი რჩებიან 4-5 თვის განმავლობაში და უკან ბრუნდებიან ოქტომბრის შუა რიცხვებში ან თვის ბოლოს. საძოვრებზე მიჰყავთ, როგორც ბულები და ფურები, ასევე ის ხბოები, რომლებიც არ გაუყიდათ. ბუნებრივ საძოვრებზე ხბოების ყოველდღიური საშუალო წონა-

ნამატი შეადგენს 150-300 გრამს. მაღალმთიანი სამოვრებიდან დაბრუნების შემდეგ ძროხებს აყენებენ ბაგურ კვებაზე.

კვებასთან დაკავშირებული პრობლემები

პირველი რიგის პრობლემა, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობაზე დაკავშირებულია პირუტყვის არასწორ და დაუბალანსებელ კვებასთან. ადგილობრივ მეცხოველე ფერმერებთან შეხვედრის დროს გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა ხბოს დაბადების შემდეგ არ ასმევენ ხსენს. მათი თქმით, ისინი ასხამენ ხსენს ან ასმევენ ძაღლებს და სხვა შინაურ ცხოველებს. ეს დაუშვებელია, ვინაიდან ხსენი შეიცავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს ახლადდაბადებული ხბოს იმუნიტეტს და დადებითად მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე.

ასევე ფერმერთა უმრავლესობა ხბოებს კვებას, ეგრეთ წოდებული, "მიშვების" მეთოდით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძროხის ჩამოწველის შემდეგ ხდება ხბოს მიშვება დედასთან და იგი წოვს რძეს. ამ დროს რძის ყველაზე ცხიმოვანი ფრაქციას იღებს ხბო, რაც უმეტეს შემთხვევაში იწვევს დიარეას და ასუსტებს ახლადდაბადებულ ცხოველს. შედეგად, ხბო იკლებს წონაში და უფრო ნელა ვითარდება. ასევე "მიშვების" მეთოდით კვებისას სრულიად უცნობია, თუ რამდენ რძეს იღებს ხბო - იგი იღებს ნორმატიულ ულუფას, საჭიროზე ნაკლებს, თუ ზენორმატიულ ოდენობას. ასეთი პრაქტიკის შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, ხბოები სიცოცხლის პირველივე დღეებიდან არასწორად იკვებებიან, რაც უარყოფითად აისახება მათ მომავალ განვითარებაზე.

ადგილობრივ ფერმერებს თივის და ნამჯის უდიდესი ნაწილი შემოაქვთ აღმოსავლეთ საქართველოდან (ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან). ეს მნიშვნელოვნად აძვირებს პირუტყვის შენახვას და ფერმერთა უმეტესობა ცდილობს ნაკლები ულუფები აჭამოს საკუთარ პირუტყვს, რათა უფრო იაფი დაუჯდეს მათი გამოზამთრება. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ისინი არასწორად კვებავენ პირუტყვს დაბადებიდან.

პირუტყვის სადგომებთან დაკავშირებული პრობლემები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერიოზული პრობლემები იჩენს თავს პირუტყვის სადგომებთან დაკავშირებით. დავათვალიერეთ არა ერთი ბოსელი, თუმცა ვითარება, პრაქტიკულად, ყველგან ერთნაირია. პირუტყვის სადგომი შენობები დაბალჭერიანია (საშუალოდ 2.5 მეტრი სიმაღლის), არ არსებობს სათანადო ვენტილაცია და ძროხები განიცდიან სუფთა ჰაერის ნაკლებობას.



ადგილობრივი მეცხოველე ფერმერების განცხადებით, მათ დღეში 2-3-ჯერ გააქვთ ნაკელი, რაც, ალბათ, შეესაბამება სინამდვილეს-პირუტყვის სადგომებში არ დგას ძლიერი შარდოვანას სუნი, თუმცა ყველა ბოსელში შეიმჩნეოდა სუფთა ჰაერის დეფიციტი, შენობები ჩახუთულია, არის მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად დაკეტილი დაგვხვდა.

რეგიონში არ არსებობს არც ერთი თანამედროვე მესაქონლეობის ფერმა, რომელიც აშენებულია სტანდარტის გათვალისწინებით: აქვს მაღალი ჭერი, აღჭურვილია ნაკელ გამტანი სისტემით და გამოიყენება საკვების დარიგების ეფექტური მექანიზმი.

პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა

რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც პატარა ზომისაა და აქვს შედარებით მცირე წველადობა. ხულოს რაიონში ბევრ ფერმერს პირუტყვი შემოყვანილი ჰყავს, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთიდან. ეს ძროხები უფრო დიდი ზომით გამოირჩევიან და არიან ძირითადად, კავკასიური წაბლას და ბრაუნ შვიცის გენეტიკის მატარებლები.



2015 წელს „მაღალპროდუქტიული მერძევე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ფარგლებში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეცხოველეობის დარგის განვითარების მიზნით დაანიის სამეფოდან შემოყვანა 75 სული „ჯერსის“ ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ეს ფურები გადაეცათ ადგილობრივ ფერმერებს თანადაფინანსების პრინციპით (20% ფერმერი, 80% სახელმწიფო). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთეულის ღირებულებამ შეადგინა 6,665 ლარი, აქედან ფერმერები იხდიდნენ 1333 ლარს, ხოლო დანარჩენს ფარავდა პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემოვიდა რანდენიმე ათეული სუფთა სისხლის „ჯერსისი“ ჯიშის ძროხა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯიშის ძროხები ძნელად ეგუებიან ხულოს პირობებს და ეს ჯიში არ არის საუკეთესო აღნიშული რეგიონისთვის, ვინაიდან იგი ხასიათდება სუსტი ჩლიქით, ნაკლებად გამძლეა და ზოგიერთ სხვა ჯიშთან შედარებით („ბრაუნ შვიცი“, „აბერდინ ანგუსი“, „სიმენტალი“) ნაკლებად ეგუება შორ მანძილზე სიარულს, სიცხეს და მკაცრ პირობებს. აღსანიშნავია, რომ შემოყვანილი ძროხების გარკვეული ნაწილი არასათანადო მოვლისა და ადგილობრივ პირობებთან შეუგუებლობის გამო მოკვდა.

ასევე ინტერვიუების დროს ადგილობრივმა ფერმერებმა აღნიშნეს, რომ ახლადდაბადებული ხბოების საშუალო წონა შეადგენს 20 კილოგრამს, რაც საკმაოდ მცირე მაჩვენებელია და ძირითადად, დაკავშირებულია ადგილობრივი ძროხების გენეტიკურ მახასიათებლებთან.

პირუტყვის საკვებწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები

მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების სერიოზული დეფიციტია, თუმცა ამ დეფიციტის მიუხედავად, არსებობს ბევრი მიწის ნაკვეთი, რომლის გამოყენება შესაძლებელია პირუტყვის საკვებწარმოებისთვის. ამგვარი ნაკვეთების უმეტესობა ამჟამად სარეველებით არის დაფარული (ძირითადად გვიმრით) და არ გამოიყენება ადგილობრივი ფერმერების მიერ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზამთრის საკვების (თივის და ნამჯის) უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მესაქონლე ფერმერებს შემოაქვთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. არსებული რესურსების ეფექტურად მართვის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილობრივად ეფექტური საკვებწარმოების ორგანიზება, რაც მნიშვნელოვნად გაუიარეღებს ადგილობრივ ფერმერებს პირუტყვის კვებას. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა ის არის, რომ ბევრი ფერმერი, ტყის მდებარეობაზე უფრო მეტი ბალახის მისაღებად იქ არსებული წყაროებიდან მოღვარვით უშვებს წყალს ამ ნაკვეთებზე. მორწყვის ასეთი მეთოდი ნამდვილად ზრდის ბალახის რაოდენობას, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობს მეწყერული პროცესების განვითარებას. სამწუხაროდ, ფერმერთა დიდი ნაწილი არ იყენებს ისეთ ეფექტურ კულტურებს, როგორებიცაა იონჯა და ესპარცეტი. წვეთოვანი ან დაწვიმებით მორწყვის შემთხვევაში (რაც არ იწვევს მეწყერულ პროცესებს), ადგილობრივ ფერმერს შეუძლია 3-4-ჯერ მეტი თივის მიღება, მას კი ბალახთან შედარებით, გაცილებით უფრო მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია.

მუნიციპალიტეტში პირუტყვის განაყოფიერების და ჯიშთა განახლების მიმართულებით არსებული ვითარება

დღესდღეობით ხულოს მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია ბუნებრივი განაყოფიერების პრაქტიკა. არჩვენ კარგი ექსტერიერის მქონე ბუღას, როლის გენეტიკური მონაცემი ხშირ შემთხვევაში უცნობია და ხდება ამ ბუღის გამოყენება ძროხების ბუნებრივი განაყოფიერებისთვის. ეს მეთოდი ნაკლებად ეფექტურია, ვინაიდან უცნობია ბუღის გენეტიკური

შესაძლებლობა და ერთი და იგივე ბულის გამოიყენება ბევრი ძროხის განაყოფიერებისთვის ხელს უწყობს დაავადებების გავრცელებას. როგორც მთლიანად აჭარაში, ისე ხულოს მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია ხელოვნური განაყოფიერების სერვისები. კავკასიის გენეტიკა თავისი 3 პარტნიორის მეშვეობით (აგრო სერვის ცენტრი, შპს „შერვასი“ და ი/მ დავით სოლომონიძე) უზრუნველყოფს მაღალპროდუქტიული ჯიშების სპერმისა და ხელოვნური განაყოფიერების სერვისების მიწოდებას ადგილობრივი ფერმერებისთვის. ასევე ხულოს მუნიციპალიტეტში მუშაობს ხელოვნური განაყოფიერების 3 ადგილობრივი სპეციალისტი (რევაზ ბოლქვაზე, ჯემალ მგელაძე და კახა აბულაძე), რომლებიც სპერმას იძენენ შპს „კავკასიის გენეტიკისგან“.

2012 წლიდან აჭარაში მოქმედებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნური განაყოფიერების სერვისების სუბსიდირებას ადგილობრივი ფერმერებისთვის. კერძოდ, აჭარის ქვედა ზონის ფერმერებისთვის განაყოფიერების საფასურიდან 30 ლარს (50%) ფარავს პროგრამა, ხოლო 30 ლარს (50%) იხდის ფერმერი. მაღალმთიანი სოფლების ფერმერებისთვის პროგრამით იფარება 50 ლარი და ფერმერი იხდის მხოლოდ 10 ლარს. ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებთან საუბრის შედეგად გამოირკვა, რომ ადგილობრივი პატარა ზომის ძროხებს ძირითადად ანაყოფიერებენ „ჯერსის“ სპერმით, ხოლო დიდი ზომის ძროხების გასანაყოფიერებლად გამოიყენება „ბრაუნ შვიცის“ და ზოგ შემთხვევაში სიმენტალის სპერმა. ასევე არის შემთხვევა, როცა ხელოვნური განაყოფიერებისას გამოიყენება „აბერდინ ანგუსის“ სპერმა. ძროხებს ხელოვნური განაყოფიერების წინ არ უკეთდებათ სისხლის ანალიზი და ხდება მხოლოდ პირუტყვის ვიზუალური დათვალიერება და პალპაცია. არსებული სტატისტიკის მიხედვით პირველი განაყოფიერებით ხდება ძროხების 70-80% დამაკება. დარჩენილი გაუნაყოფიერებელი ძროხების ხელმეორედ დათესვისას 50 % მაკდება. ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტების განმარტებით, ადგილობრივ ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია პირუტყვის ჯიშებზე და ისინი სრულად ენდობიან ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტების რჩევას, თუ რა ჯიშის სპერმა უნდა გამოიყენონ ძროხების გასანაყოფიერებლად. შესაბამისად, ამ საკითხში ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტის რჩევა გადამწყვეტია. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებს აქვთ არასრული ინფორმაცია ძროხების ჯიშობრივ თვისებებსა და მათ უპირატესობებზე. ასე მაგალითად, ისინი ურჩევენ მცირე ზომის ძროხების მფლობელებს „ჯერსის“ სპერმის გამოყენებას. არგუმენტი კი ის არის რომ „ჯერსის“ ჯიშის ხბო მცირე ზომისაა, რაც არ იწვევს გართულებებს მშობიარობისას. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ „აბერდინ ანგუსის“ ხბო დაბადებისას საშუალოდ 20 კგ იწონის, აქვს პატარა თავი რაც უზრუნველყოფს უპრობლემო მშობიარობას პატარა ზომის ძროხებში. „აბერდინ ანგუსი“ არის მეხორცეული ჯიში, იგი საკმაოდ კარგად იმატებს წონაში და ასევე ძროხის საშუალო წველადობა შეადგენს 2000 ლიტრს წელიწადში, რაც მაღალმთიანი აჭარისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რატომღაც უპირატესობა ენიჭება „ჯერსის“ ჯიშს, რომელიც არც ისე კარგად ადაპტირდება მაღალმთიანი ხულოს პირობებთან.

რეგიონში არსებული ვეტერინარული სერვისები

დღესდღეობით ხულოს მუნიციპალიტეტში საქმიანობს 6 ვეტერინარი. ასევე დაბა ხულოში ფუნქციონირებს ვეტერინარული კლინიკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიით. კლინიკაში მოწყობილია საოპერაციო ოთახი. იმავე შენობაში ფუნქციონირებს ვეტ აფთიაქი. ასევე კლინიკა აღჭურვილია მობილური დახმარების სპეც ავტომობილით (ცხელი ხაზის ნომერი 144),

რომელსაც შეუძლია გამოძახებაზე გასვლა, ადგილზე პირუტყვის დიაგნოსტიკა და მარტივი მანიპულაციების ჩატარება. აღნიშნული ობიექტის მშენებლობა და აღჭურვა დააფინანსა ავსტრიის განვითარების სააგენტომ.

მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი დაავადებები, როგორცაა თურქული, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ემკარი, პასტერელოზი და პარაზიტული დაავადებები. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო „აგროსერვის ცენტრის“ მეშვეობით ახორციელებს პროფილაქტიკურ აცრებს ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე, რის შედეგადაც ამ დაავადებების რიცხვი მკვეთრად შემცირდა და მინიმუმამდე არის დასული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ადგილობრივი ფერმერები იშვიათად ამუშავენ პირუტყვის გარეგანი პარაზიტებისგან დაცვის მიზნით, რაც ნეგატიურად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. ეს ფაქტი პირდაპირაა დაკავშირებული ადგილობრივი ფერმერების დაბალ ინფორმირებულობასთან.

მერძვეობისა და მეხორცული მიმართულებების შედარებითი ეკონომიკური ანალიზი

ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ადგილობრივი ჯიშის ძროხები ზამთრის პერიოდში საშუალოდ მოიხმარენ 2,280 კგ თივას (114 ცალი 20 კგ პრესი). საკუთარი წარმოების თივის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 1,65 ლარს, ხოლო შეძენის შემთხვევაში, 1 პრესის ფასი მინიმუმ 4 ლარია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ადგილობრივი ჯიშის ძროხისგან მიღებული რძის საშუალო ოდენობა და რძის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი:

თვე	დღეების რაოდენობა	დღიურად მიღებული რძე	თვეში რძის ოდენობა	ხბოს მიერ მოხმარებული რძე	გასაყიდი რძე	რძის საშუალო ფასი	მიღებული შემოსავალი
I	31	0	0		0	1.2	0
II	28 (10)	0	0		0	1.2	0
III	31	3	93	93	0	1.2	0
IV	30	4	120	120	0	1	0
V	31	4	124	62	62	0.9	55.8
VI	30	6	180		180	0.8	144
VII	31	8	248		248	0.75	186
VII I	31	5	155		155	0.75	116.25
IX	30	2	60		60	0.8	48
X	31	1	31		31	0.9	27.9
XI	30				0	1	0
XII	31				0	1.2	0
სულ:			1011		736		577.95

გარდა ამისა, ზამთარში, 150 დღის განმავლობაში აუცილებელია დამატებითი საკვები (ქატო, დაღერლილი სიმინდი, ქერი, ჭარხალი, კარტოფილი და ა.შ.). საკუთარი წარმოების დამატებითი საკვების ყოველდღიური რაციონის ღირებულება დაახლოებით 0,8 ლარია, ხოლო შეძენილის 1,2 ლარი. შესაბამისად, დამატებითი საკვების წლიური ღირებულება შეადგენს 120 ლარს საკუთარი წარმოების შემთხვევაში და 180 ლარს-შეძენილის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ადგილობრივი ჯიშის ძროხისგან მიღებული საშუალო შემოსავალი:

შემოსავალი		
რძის რეალიზაცია	578	
ხბოს რეალიზაცია	350	
შემოსავალი სულ:	928	
ხარჯები	საკუთარი საკვები	შეძენილი საკვები
თივის ღირებულება	188	455
მედიკამენტები და მკურნალობა	50	50
დამატებითი საკვები	120	180
ხარჯები სულ:	238	685
სუფთა მოგება	690	243

ქვემოთ მოყვანილია ანალოგიური გათვლები 400-450 კილოგრამიანი ძროხებისთვის. უფრო დიდი ზომის ძროხა ზამთრის პერიოდში საშუალოდ მოიხმარს 3000 კგ თივას (150 ცალი 20 კგ პრესი). საკუთარი წარმოების თივის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 1,65 ლარს, ხოლო შეძენის შემთხვევაში, 1 პრესის ფასი მინიმუმ 4 ლარია. გარდა ამისა, ზამთარში, 150 დღის განმავლობაში აუცილებელია დამატებითი საკვები (ქატო, დაღერლილი სიმინდი, ქერი, ჭარხალი, კარტოფილი და ა.შ.). საკუთარი წარმოების დამატებითი საკვების ყოველდღიური რაციონის ღირებულება დაახლოებით 0,8 ლარია, ხოლო შეძენილის- 1,2 ლარი. შესაბამისად, დამატებითი საკვების წლიური ღირებულება შეადგენს 180 ლარს საკუთარი წარმოების შემთხვევაში, ხოლო 230 ლარს შეძენილის შემთხვევაში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია 400-450 კილოგრამიანი ძროხისგან მიღებული რძის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი:

თვე	დღეების რაოდენობა	დღიურად მიღებული რძე	თვეში რძის ოდენობა	ხბოს მიერ მოხმარებული რძე	გასაყიდი რძე	რძის საშუალო ფასი	მიღებული შემოსავალი
I	31	0	0		0	1.2	0
II	28 (10)	0	0		0	1.2	0
III	31	4	120	93	27	1.2	32.4
IV	30	5	155	120	35	1	35
V	31	7	210	62	148	0.9	133.2
VI	30	10	310		310	0.8	248
VII	31	6	186		186	0.75	139.5
VIII	31	4	120		120	0.75	90
IX	30	3	93		93	0.8	74.4
X	31	3	90		90	0.9	81

XI	30	2	62		62	1	62
XII	31	1	31		31	1.2	37.2
სულ:			1346		1071		932.7

ქვედა ცხრილში მოცემულია 400-450 კილოგრამიანი პროხისგან მიღებული საშუალო შემოსავალი:

შემოსავალი		
რძის რეალიზაცია	933	
ხბოს რეალიზაცია	350	
შემოსავალი სულ:	1,283	
ხარჯები	საკუთარი საკვები	შეძენილი საკვები
თივის ღირებულება	248	600
მედიკამენტები და მკურნალობა	50	50
დამატებითი საკვები	180	230
ხარჯები სულ:	478	880
სუფთა მოგება	805	403

როგორც ზემოთ მოყვანილი გათვლებიდან ჩანს, დიდი ზომის პირუტყვის ყოლა უფრო მომგებიანია, ვიდრე მცირე ზომის ადგილობრივი ჯიშის პროხისა.

როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, ხულოს რაიონში არ არსებობს არც ერთი თანამედროვე ინტენსიური მერძეული ფერმა ან სპეციალიზებული მეხორცული მიმართულების მეურნეობა.

ქვემოთ მოცემულია ინტენსიური მერძეული ფერმისა და მეხორცული ფერმის ოპერირების შედარებითი ეკონომიკური ანალიზი.

მერძეული ფერმა

მინიმალური კომპლექტაციის მერძეული ფერმის მშენებლობა და აღჭურვა, რომელიც გათვლილია 30 სულზე და 30 პროხის (400-450 კგ) შეძენა ჯდება 299,010 ლარი.

დასახელება	ღირებულება ლარი
ტრაქტორი 40 ცძ.	36,000
შენობა	90,000
ძროხები	45,000
დანადგარები	128,010
სულ:	299,010

ქვემოთ მოცემულია საჭირო დანადგარებისა და აღჭურვილობის დეტალური ჩამონათვალი ფასების მითითებით:

დანადგარები	რაოდენობა	ჯამური ღირებულება ლარი
საწველი აპარატი	4	9,000
ნაკელის გამტანი სისტემა	1	49,500
სავენტილაციო სისტემები	2	11,220
ფერმის შიდა მოწყობა (გამყოფები, ბარიერები)	30	9,900
ავტომატური საწყურებლები	2	5,610
ვეტერინალური ჩლიქების დაზგა	1	11,550
ავტომატური საფხანი	1	9,900
ტრანსპორტირება, ინსტალაცია		21,330
სულ		128,010

ქვემოთ მოცემულია 1 ძროხის შენახვასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯი და მიღებული მოგება:

შემოსავალი	
რძის რეალიზაცია	933
ხბოს რეალიზაცია	350
შემოსავალი სულ:	1,283
ხარჯები	საკუთარი საკვები
თივის ღირებულება	248
მედიკამენტები და მკურნალობა	50
დამატებითი საკვები	180
მწველავი	400
მომვლელი	400
ხარჯები სულ:	1,278

ფერმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია შემდეგი ზედნადები ხარჯები:

ყოველთვიური მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის ხელფასი

თანამდებობა	საშტატო ერთეული	თვიური ხელფასი	სულ ხელფასი (ლარი)
ფერმის მენეჯერი	1	300	300
ბუღალტერი	1	150	150
სულ:	2		450

ყოველთვიური ფიქსირებული დანახარჯი

ხარჯის სახეობა	თვიური ხარჯი (ლარი)
ტელეკომუნიკაცია	50
სარემონტო სამუშაოები	70
მივლინება	80
გათვალისწინებელი ხარჯები	50
სატრანსპორტო ხარჯები	90
ს უ ლ:	340

აღნიშნული ხარჯების გათვალისწინებით ფერმის 3 წლის მოგება- ზარალის უწყისი იქნება შემდეგი:

3 წლის მოგება ზარალის უწყისი

წელი	I	II	III
რეალიზაცია			
რძე	27,990	27,990	27,990
ხბო	10,500	10,500	10,500
რეალიზაცია სულ:	38,490	38,490	38,490
პირდაპირი დანახარჯები			
თივის ღირებულება	7,440	7,440	7,440
მედიკამენტები და მკურნალობა	1,500	1,500	1,500
დამატებითი საკვები	5,400	5,400	5,400
მწველავი	12,000	12,000	12,000
მომვლელი	12,000	12,000	12,000
პირდაპირი დანახარჯები სულ:	38,340	38,340	38,340
ფიქსირებული დანახარჯები			
ფერმის მენეჯერი	3,600	3,600	3,600
ბუღალტერი	1,800	1,800	1,800
ტელეკომუნიკაცია	600	600	600
სარემონტო სამუშაოები	840	840	840
მივლინება	960	960	960
გათვალისწინებელი ხარჯები	600	600	600
სატრანსპორტო ხარჯები	1,080	1,080	1,080
ფიქსირებული დანახარჯები სულ:	7,800	7,800	7,800
ამორტიზაცია	28,120	27,252	26,412
სუფთა მოგება	(35,770)	(34,902)	(34,062)

როგორც ზემოთ მოყვანილი გათვლებიდან ჩანს, ახალი ფერმის მშენებლობა, რომელშიც ეყოლებათ 400-450 კილოგრამიანი ძროხები, წამგებიანია.

მეხორცული ფერმა

მეხორცული მიმართულების ფერმის მართვა გაცილებით უფრო ადვილია მერძეულ ფერმასთან შედარებით. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ მეხორცულ ფერმას ესაჭიროება უფრო მარტივი ტიპის შენობა, რომელიც უფრო იაფი ჯდება. ასევე მას არ ესაჭიროება ძვირად ღირებული ნაკვეთი - გამტანი სისტემა და რძის საწველი აპარატურა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეხორცულ პირუტყვი -15 გრადუსამდე და უფრო დაბალ ტემპერატურაზეც არ საჭიროებს სადგომს და ისინი შეიძლება იყვნენ ღია ცის ქვეშ. ქვემოთ მოცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში ხულოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურის ცხრილი.

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა °C

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ჰაერის ტემპერატურა	-10,2	-8,8	-12,8	-10,3	-9,8	-10,4	-14,3	-12,6	-5,4	-7,6

შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტში მიზანშეწონილია მარტივი ტიპის პირუტყვის სადგომის მოწყობა, რომელიც გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ფერმები მერძეული მიმართულებისთვის. ქვემოთ მოცემულია 30 ძროხაზე გათვლილი სადგომის ხარჯთაღრიცხვა:

30 მეხორცულ პირუტყვზე გათვლილი სადგომის ხარჯთაღრიცხვა

#	ხარჯის დასახელება	ერთეული	რ-ბა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
1	სამირკვლის (წერტილოვანი) ორმოების ამოთხრა. 15 ცალი x 0,125 მ ³ = 1,875 მ ³ .	ორმო	15	15	225.00
2	სამირკვლში ჩაანკერებული ლითონის ფირფიტა, ზომა 200 x 200 x 6 მმ.	ცალი	15	5	75.00
3	კვადრატული მილის კოლონები 15 ც. 15გრ/მ. ზომ. 100 x 100 x 2 მმ.	მეტრი	48	23	1,104.00
4	შემკრავი სარტყელი, კვადრატული მილი ზომ. 100 x 100 x 2 მმ.	მეტრი	75	23	1,725.00
5	სახურავის დიაგონალური ნივნივები, კვადრატული მილი, ზომა 100 x 50 x 2მმ.	მეტრი	60	17	1,020.00
6	გარე კოლონების შემკრავი დიაგონალები, კვადრატული მილი ზომა 100 x 50 x 2მმ.	მეტრი	29	17	493.00
7	სახურავი - პროფილირებული შეღებილი თუნუქი - სიგანე: 1140 მმ, სიგრძე 2100 მმ	ცალი	80	18	1,440.00

8	შენობის 3 მხრიდან დაფარვა პროფილირებული შეღებილი თუნუქით - სიგანე: 1140 მმ, სიგრძე 2100 მმ	ცალი	40	18	720.00
9	ელექტროდი	შეკვრა	5	17	85.00
10	ცემენტი	ტომარა	15	15	225.00
11	ხრეში	კუბ.მ.	1.5	45	67.50
12	მუშახელი	კაც/დღე	25	30	750.00
13	შესაღობი მასალები: სარი	ცალი	28	15	420.00
14	თვითმჭრელი შურუპები	ცალი	1000	0.07	70.00
15	ბალგარკის ქვა	ცალი	10	5	50.00
16	შესაღობი მასალები: ეკლიანი მავთული	შეკვრა 250 მ	1	50	50.00
17	ელექტრო კაბელი 4 მმ. კვეთი	მეტრი	400	3.5	1,400.00
18	წყლის მილი, 3/4 დიამეტრის	მეტრი	400	1.5	600.00
19	წყლის მილის თერმო იზოლაცია	მეტრი	400	1	400.00
20	არხის გათხრა, 400 მეტრი	კაც/დღე	5	25	125.00
21	მილების ჩალაგება და მიწის მიყრა	კაც/დღე	5	25	125.00
22	დენის მრიცხველი	ცალი	1	50	50.00
23	წყლის მრიცხველი	ცალი	1	35	35.00
24	ელექტრო სადენი 2.5 მმ. კვეთი	მეტრი	40	1.2	48.00
25	ჩამრთველი და ავტომატები	ცალი	4	15	60.00
26	ელექტრიკოსი	კაც/დღე	1	30	30.00
27	დასაწყურებელი	ცალი	30	10	300.00
28	გაუთვალისწინებელი ხარჯი				500.00
სულ:					12,192.50

ქვემოთ მოცემულია 40 კილოგრამიანი ხბოს შესყიდვის ღირებულება და პირდაპირი დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია ხბოს 9 თვიანი სუქების ციკლთან. მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე 3 თვის ხბო იწონის დაახლოებით 40 კილოგრამს. ასეთი ხბოს შესასყიდი ფასია 240 ლარი. ზაფხულის სამოვრების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით ხბოს ყიდულობენ მაისის ბოლოს. 5 თვის (120 დღის მანძილზე ხბო იქნება სამოვარზე. 6 თვის განმავლობაში მისი წონამატი იქნება 60 კგ. შემდგომი 3 თვე (90 დღე) ხბო იქნება ბაგურ კვებაზე. ქვემოთ მოცემულია 1 ხბოს 3 თვიანი ბაგური კვების ციკლთან დაკავშირებული ხარჯები:

პირდაპირი დანახარჯები რომლებიც დაკავშირებულია 3 თვიანი ბაგური კვების ციკლთან

ხარჯის სახე				
თივა	კგ	1,800	0.10	180
დამატებითი საკვები	კგ	225	0.35	79
მედიკამენტები და მკურნალობა				120
მომვლელი	მუშაკი			50

ხარჯები სულ:	-			429
--------------	---	--	--	-----

ბაგური კვების ციკლის ყოველდღიური რაციონი შედგება 20 კგ თივისა და 2,5 კგ დაღერლილი მარცვლეულისაგან. ამ რაციონში არ არის გათვალისწინებული პრემიქსები, რაც უზრუნველყოფს ხორცის მაღალ ხარისხს. აღნიშნული რაციონის გამოყენებისას პირუტყვის ყოველდღიური წონამატი შეადგენს 850 გრამს. შესაბამისად, თითოეული ხბო 90 დღიანი სუქების ციკლის ბოლოს მოიმატებს 76.5 კგ-ს და მისი წონა იქნება 176.5 კგ. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ ბაზარზე 1 კგ ცოცხალი წონის ღირებულება 7 ლარია, ერთი ხბოს რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი იქნება 1,236 ლარი.

ქვემოთ მოცემულია ზემოთ მოყვანილი ბიზნეს მოდელის 3 წლის მოგება- ზარალის უწყისი

წელი	I	II	III
რეალიზაცია			
ხბო	37,065	37,065	37,065
რეალიზაცია სულ:	37,065	37,065	37,065
პირდაპირი დანახარჯები			
ხბო (40 კგ)	7,200	7,200	7,200
თივა	5,400	5,400	5,400
დამატებითი საკვები	2,363	2,363	2,363
მედიკამენტები და მკურნალობა	7,200	7,200	7,200
მომვლელი	1,500	1,500	1,500
პირდაპირი დანახარჯები სულ:	23,663	23,663	23,663
ფიქსირებული დანახარჯები			
ფერმის მენეჯერი	3,600	3,600	3,600
ტელეკომუნიკაცია	600	600	600
სარემონტო სამუშაოები	840	840	840
მივლინება	960	960	960
ნახერხის ტრანსპორტირება	200	200	200
გათვალისწინებელი ხარჯები	200	200	200
სატრანსპორტო ხარჯები	1,080	1,080	1,080
ფიქსირებული დანახარჯები სულ:	7,480	7,480	7,480
ამორტიზაცია	452	433	415
სუფთა მოგება	5,470	5,490	5,508

როგორც ზემოთ მოყვანილი გათვლებიდან ჩანს, ბიზნესის ეს მიმართულება მომგებიანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც უფრო დიდი იქნება ფერმა, მით უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს ფერმერი. ამ ტიპის ბიზნესში ძალზე მნიშვნელოვანია „მასშტაბური ეკონომიკის მოდელის გამოყენება“. ასევე აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი საძოვრების პოტენციალი, რომ, რაც შეიძლება დიდხანს მოვდეს პირუტყვი ბუნებრივ საძოვრებზე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის გამოყენება და არსებული სათიბების ცენოზის გაუმჯობესება ეფექტური ბალახნარის ჯიშებით. ამასთან მნიშვნელოვანია გენეტიკურად გაუმჯობესებული მეხორცეული ჯიშების მიღება ხელოვნური

განაყოფიერების მეთოდით, რამდენადაც მათ უფრო დიდი წონამატი აქვთ ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით.

არსებული ვითარება გარემოს დაცვით და მდგრადი მეცხოველეობის საკითხებში

2007 წლიდან საქართველოს მთავრობამ შემოიღო რეგულაციები, რომელის მიხედვითაც სავალდებულო იყო პირუტყვის დაკვლა მხოლოდ სერთიფიცირებულ სასაკლაოებში. თუმცა 2018 წლიდან ცვლილება შევიდა შესაბამის მარეგულირებელ აქტებში და ამჟამად მაღალმთიან ზონაში შესაძლებელია პირუტყვის დაკვლა სახლის პირობებში. ეს რეგულაცია ნეგატიურად მოქმედებს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ფერმერები ხშირ შემთხვევაში არღვევენ დაკვლის პროცედურებს და სათანადო წესით არ აუვნებელყოფენ პირუტყვის დაკვლის შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებს. ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე მარტივი და ეფექტური ზომაა არსებული რეგულაციის ხელახლა ამოქმედება, რაც ითვალისწინებდა პირუტყვის სავალდებულო დაკვლას სერთიფიცირებულ სასაკლაოებში.

ასევე პრობლემაა მეცხოველეობის ნარჩენების სწორი და ეფექტური მენეჯმენტი. ადგილობრივ ფერმერებს უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ გათვითცნობიერებული, რომ ნაკელი, შარდი და ქვეშსაფენი (ჩალა, თივა, ნახერხი) სათანადო გადამუშავებისას იძლევა საუკეთესო ორგანულ სასუქს. მისი გამოყენება შეიძლება ან საკუთარ მეურნეობაში, ან შესაძლოა მისი რეალიზაცია, რაც გახდება შემოსავლის დამატებითი წყარო ფერმერებისთვის. ისინი უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ბუნებრივი გადაწვის მეთოდს. ნაკელის სრული გადაწვისთვის საჭიროა 1 წელი ამასთან ამ მეთოდით გადაწვისას ატმოსფეროში გამოიყოფა დიდი რაოდენობით მეთანი, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე. ბიოგაზის დანადგარის გამოყენებისას ნაკელის სრულ გადაწვას სჭირდება 45 დღე, გროვდება გამოყოფილი გაზი (მეთანი) და იგი გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის.

რეკომენდაციები

იმისთვის, რომ მოხდეს მეცხოველეობის დარგის განვითარება ხულოს მუნიციპალიტეტში, პირველ რიგში, აუცილებელია ფერმერთა ცნობიერების ამაღლება და მდგრადი განვითარების მოდელების დანერგვა.

ძირითადი პრობლემა, რაც დაკავშირებულია მდგრად მეცხოველეობასთან, არის პირუტყვის სწორი კვება, იმის გამო, რომ შესყიდული საკვები ძვირია, ფერმერები თავის პირუტყვს კვებავენ შემცირებული რაციონით. ამიტომ სტიმული უნდა მიეცეს ადგილობრივ საკვებწარმოებას.

- მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არის სახნავ-სათესი მიწების დეფიციტი, ამ ვითარებაშიც კი შესაძლებელია არსებული მიწის ნაკვეთების ეფექტური მართვის სისტემის დანერგვა. კერძოდ, საჭიროა იმ ნაკვეთების გაწმენდა, რომლებიც დაფარულია გვიმრით და იქ იონჯისა და ესპარცეტის დათესვა.
- ასევე აუცილებელია სენაჟის დამზადების სტიმულირება, კერძოდ, შესაბამისი ბეილერებისა და შემფუთავი დანადგარების შემოტანა მუნიციპალიტეტში.
- საჭიროა საკვები ჭარხლის წარმოების სტიმულირება, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს პირუტყვის კვების გაუმჯობესებას.

- იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ხდება არსებული სამოვრების არასწორი მენეჯმენტი, აუცილებელია ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის დანერგვა ელექტრო მწყემსის გამოყენებით. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია შესაბამისი საპილოტე პროექტების ორგანიზება.
- საჭიროა ბუნებრივი სამოვრებისა და სათიბების შეთესვის საპილოტე პროექტების ორგანიზება.
- ადგილობრივ ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია, თუ რომელი ჯიშის გამოყენება ჯობს ხელოვნური განაყოფიერებისას და ისინი სრულად ენდობიან ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტების რეკომენდაციას. სამწუხაროა, რომ ამ სპეციალისტების გარკვეულ ნაწილსაც არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რეგიონში მოქმედი ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტების შესაბამისი ტრეინინგი, რათა მათ მიიღონ სრული ინფორმაცია იმ ჯიშებზე, რომლების გამოყენებაც მიზანშეწონილია ხულოს მუნიციპალიტეტში.
- მიზანშეწონილია ბიოგაზის დანადგარების საპილოტე პროექტების მოწყობა წამყვან მეცხოველე ფერმერებთან. ასევე აუცილებელია ბანკებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობა, რათა მათ შექმნან სათანადო საბანკო პროდუქტი სოფლად ბიოგაზის სისტემების დასაფინანსებლად.